

საიჯარო ხელშეკრულება

თბილისი

17 სექტემბერი, 2015 წელი

პრემიუმ

ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერი მხარეების მიზანია ურთიერთშორის გზავილადიანი საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. მხარეთა შორის ურთიერთობა დამყარებულია ურთიერთანდობაზე, ერთმანეთის უფლებებისა და მოვალეობების მართა გულისხმობისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე. ამ ხელშეკრულების შემდგომი მუხლების შინაარსის გათვალისწინებით მხარეებს შესაძლებლად მიაჩნიათ, ითანამშრომლონ ურთიერთსასარგებლო საწყისებზე ისე, რომ ორმხრივად და გაწინასწორებულად იყოს დაცული ორივე მხარის ინტერესები და სახელშეკრულები ურთიერთობის ფარგლებში სრულად იქნეს მიღწეული ორივე მხარის მიზანი.

ამ მიზნით

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

კომპანია/მოიჯარე - შპს "ეი ჯი ტრანსპორტ ენდ დეველოპმენტ ლტდ" წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში, საიდენტიფიკაციო კოდი - 405070630, იურ. მისამართი - ი. ჭავჭავაძის გაზიზი #34, სართული 4, თბილისი, საქართველო;

მესაკუთრე - შპს "ულევი-ტერმინალების სისტემა", საიდენტიფიკაციო კოდი - 424066566, იურ. მისამართი - ახალციხის რ-ნი, ვალე, მე-2 მასტა, საქართველო;

იჯარის საგანი - ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო უძრავი ქონება, რომელიც შედგება მესაკუთრის საკუთრებაში არსებული, მის იურიდიულ მისამართზე განთავსებული უძრავი და მოძრავი ქონებისაგან, რომლის ჩამონათვალიც ერთეის წინამდებარე ხელშეკრულებას;

საიჯარო უძრავი ქონება - მესაკუთრის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მდებარე ახალციხის რ-ნი, ვალე, მე-2 მასტა, საქართველო. საკადასტრო კოდი - 62.08.59.038, დაზუსტებული ფართობი 37



მ62.00 კვ.მ. ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ყველა ინფრასტრუქტურული, ადმინისტრაციული ან/და სხვა დაწინაურების შენობა-ნაგებობა;

საიჯარო მოძრავი ქონება – საიჯარო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შესაკუთრის საკუთრებაში არსებული შენობისმიერი სახის და დანიშნულების ქონება, რომელიც განკუთვნილია ამავე უძრავი ქონების საშლახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით და სივრცობრივ კავშირშია მასთან. აგრეთვე, ქონება რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე.

შხარე – შესაკუთრე ან კომპანია/მოიჯარე კონტაქტის მოსედევი;

შხარეები – შესაკუთრე და კომპანია/მოიჯარე ერთად;

საიჯარო ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულება;

საწარმოო სინძღაფრეები – მოიჯარის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ტექნიკური საშუალებები, მოწყობილობები, აგრეგატები, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ამ ხელშეკრულების 1.2. და/ან 1.3. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურობის/რენტაბელურობის გაზრდისათვის;

თვე – დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს 30 კალენდარულ დღეს;

წელიწადი – დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს 365 კალენდარულ დღეს ან 12 თვეს;

სამეურნეო წელიწადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პერიოდი;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესაკუთრე გადასცემს, ხოლო კომპანია იღებს დროებით სარგებლობაში (შემაფეომში - იჯარა-) საიჯარო ქონებას. შხარეთა შეთანხმებით მოიჯარე საიჯარო ქონებას გამოიყენებს სამეურნეო დანიშნულებით და მოგების მიღების მიზნით განახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას რამოდენიმე ბიზნესპროექტის სახით.

1.2. ამ ხელშეკრულების მოწინებისათვის მოიჯარის ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საიჯარო ქონების გამოყენებით ქეასახშირით დატვირთული სატვირთო მატარებლების მიღება, ქვანახშირის ჩაშოტირთვა და სატვირთო ავტო-სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვა შემდგომი ტრანსპორტირების (გადაზიდვის) მიზნით.

1.3. მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ქონება გამოიყენოს სხვა ბიზნესპროექტ(ებ)ის განხორციელების მიზნითაც.

1.4. საიჯარო ქონების ჩამონათვალი, რომელიც ერთეის წინამდებარე ხელშეკრულებას წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. საიჯარო უძრავ ქონებაზე არსებული საიჯარო მოძრავი ქონება, რომელიც ფიზიკურად არსებობს, მაგრამ გათვალისწინებული არ არის ჩამონათვალი, წარმოადგენს საიჯარო ქონებას და მოიჯარეს გააჩნია უფლება გამოიყენოს იგი, როგორც საიჯარო ქონება.



2. ოჯარის ვადა, ოფციონი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 4 (ოთხი) წლის ვადით (ხელშეკრულების მოქმედების ვადა);

2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწყება იმ პერიოდად, რომელიც მოიცავს პირველ ნაწილს 2015 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს და მეორე ნაწილს 2016 წლის 01 იანვრიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე (2019 წლის 17 სექტემბერი);

2.3. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, მოიჯარე, რომელიც გეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს, სარგებლობს ქირავნობის უპირატესი უფლებით სხვა პირებთან შედარებით (ოფციონი);

2.4. ოფციონის განხორციელების შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 4 (ოთხი) წლის ვადით ამავე პირობებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ცვლილება-დაშატებების განხორციელების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები;

2.5. ოფციონის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას მოიჯარის მიერ შესაკუთრისათვის გაგზავნილი შეტყობინების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად ოფციონის ვადით. შეტყობინება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე.

3. ოჯარის გადასახადი

3.1. მხარეთა შეთანხმებით მოიჯარის მიერ შესაკუთრისათვის გადასახადი საიჯარო გადასახადი არ წარმოადგენს ფიქსირებულ ოდენობას. საიჯარო გადასახადის ოდენობის ფორმირება ხდება მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული საკმარისობის განხორციელების შედეგად საიჯარო ტერიტორიაზე მიღებული (ჩამოტვირთული) ქვანახშირის ოდენობის შესაბამისად;

3.2. საიჯარო გადასახადი შეადგენს მოიჯარის მიერ საიჯარო ტერიტორიაზე მიღებული ქვანახშირის 1 (ერთი) ტონაზე 1 (ერთი) აშშ დოლარის ექვივალენტს.

3.3. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ყველა კომუნალური და საიჯარო ქონების ექსპლუატაციის დაცვასთან დაკავშირებული გადასახადების გადასახადი. შესაქუთრე კი თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს ყველა ფორმალის შესრულება, რაც დაკავშირებული იქნება მოიჯარის მიერ ამ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან.

3.4. საიჯარო გადასახადის გამოანგარიშების მიზნით, მიღებული ქვანახშირის ოდენობის დადგენა ხორციელდება წინააღმდეგ საიჯარო ტერიტორიაზე არსებული სატვირთო სახსრის მეშვეობით;

3.5. შესაკუთრეს უფლება აქვს და მისი მოთხოვნის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს შესაკუთრის უფლებამოსილი პირის დასწრება მისი მიღებული ტვირთის აწოლის პროცესში. ამასთან, შესაკუთრე ვალდებულია მისი აღნიშნული უფლება გამოიყენოს იმდენად, რომ მის ქმედებას შედეგად არ მოჰყვას სასაზოგადოებო ადგილების დაზიანება ან რეკონსტრუქციის დასაწყისი არ მოწყობის საფრთხე.



3.6. შესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მოიჯარეს მისთვის იმ დოკუმენტაციის ასლების გადაცემა, რომლითაც დგინდება მოიჯარის მიერ შესრულებული ამ ხელშეკრულების 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობა, ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება შეეხებოდეს მოიჯარის მიერ არაუმეტეს წინა სამი თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას;

3.7. მოიჯარის მიერ იჯარის გადასახადის გადახდა განხორციელდება ყოველი თვის 5 (ხუთ) რიცხვში. თუ გადახდის დღე დაემთხვევა უქმ დღეს ან არასამუშაო დღეს, მოიჯარე იჯარას გადაიხდის მომდევნო სამუშაო დღეს;

3.8. საიჯარო გადასახადის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით – შესაკუთრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე/ზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით;

3.9. იჯარის პირველი კალენდარული წლის შემდეგ, მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია საიჯარო გადასახადის ოდენობის და/ან მისი ფორმირების წესის გადასინჯვა. გადასინჯვის საფუძველია ამ ხელშეკრულების მხარის მოთხოვნა;

3.10. საიჯარო გადასახადის ოდენობის და/ან მისი ფორმირების წესის გადასინჯვის მოთხოვნის საფუძველია:

- ამჟამად დოლარის საგალუტო კურსის ცვლილება 30%-ით;
- მოიჯარის მიერ რაიმე სხვა კომერციული საქმიანობის გახორციელება გარდა აღნიშნული ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციებისა;
- სხვა გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, რაც ობიექტურად წარმოშობს ცვლილების განხორციელების აუცილებლობას;

3.11. მხარის მოთხოვნა საიჯარო გადასახადის ოდენობის და/ან მისი ფორმირების წესის ცვლილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. ასეთი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული წესით და საფუძველზე. მხარეთა ორმხრივი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით ამ ხელშეკრულებაში ცვლილების და/ან დამატების სახით;

3.12. გარდა ამ მუხლში მითითებული საფუძვლებისა მოიჯარის მხრიდან საიჯარო გადასახადის ოდენობის და/ან მისი ფორმირების წესის ცვლილების (გადახედვის) მოთხოვნის ძირითადი საფუძველია საწარმოო სიმბლავრების არსებითი გადაიარაღების აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდასთან.;

3.13. წინამდებარე ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ამავე ხელშეკრულების მოქმედების, მათ შორის ოდენობის ვადებს, არ ექვემდებარება გადახედვას ან რაიმე სახის ცვლილებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პირველი ვადის ამოწურვამდე (2.2. მუხლი). დაუშვებელია აღნიშნული წესი გავრცელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაზე.

4. დამატებითი ხარულები



4.1. დამატებითი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯარის ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის მართვასთან, უსაფრთხოებასთან, კომუნალურ ხარჯებთან, ექსპლუატაციასა და მომსახურებასთან, უნდა დაიფაროს მოიჯარის მიერ;

4.2. სატრანსპორტო უფლებამოსილი ორგანიზაციაში წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაციასთან და სანოტარო ხარჯებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები გადახდილი იქნება მოიჯარის მიერ.

4.3. ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება საიჯარო ქონების ტერიტორიაზე საბაჟო რევიზის დაცვასთან გადახდილი იქნება მოიჯარის მიერ.

5. ოჯარის ობიექტების გადაცემა

5.1. ოჯარის საგანი მოიჯარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრისა;

5.2. ოჯარის საგნის გადაცემა ფორმდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, სადაც მითითებული უნდა იყოს, რომ საიჯარო ქონების მასსიათებლები და მისი მდგომარეობა შეესაბამება მოიჯარის ინტერესს აღნიშნული მითითება არ ჩაითვლება მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების უნაკლოდ აღიარებად, თუ გამოვლენილია არსებითი ხასიათის ნაკლი, რომლის არსებობა შეუძლებელს ხდის საიჯარო ქონების გამოყენებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოიჯარის მიზნებისათვის ან მისი გამოსწორება მოითხოვს არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს;

5.3. საიჯარო ქონების მოიჯარისათვის გადაცემა, ასევე გულისხმობს საიჯარო უფლებებთან, ტექნიკური უსაფრთხოების, ექსპლუატაციის წესებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის, ასევე შენობა-ნაგებობებში შესასვლელი გასასვლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაცემას;

5.4. ამ მუხლში მითითებულთან ერთად მოიჯარეს ენიჭება უფლებამოსილება თავისი შეზღუდულობისაგან განსაზღვროს საიჯარო ქონების ტერიტორიაზე, სატრანსპორტო საშუალებების, ასევე მესაბე პირთა დაშვების, მათი ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ წესები და უზრუნველყოს/გააკონტროლოს მათი შესრულება;

5.5. მესაკუთრეს არ აქვს უფლება მოიჯარის თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია დააზარალოს ან საშიშროება შეუქმნას საიჯარო ქონებას ან მოიჯარის საქმიანობას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

6. საიჯარო ქონების მოვლა, რეკონსტრუქცია, საშენებლო პროექტი

6.1. მოიჯარეს უფლება აქვს განახორციელოს ცვლილებები და ხელახალი გეგმარება მის მიერ ოჯარით აღებული ობიექტებს შიგნით, რაც აუცილებელია მოიჯარის მიზნებისათვის. საწარმოო პერიოდისაგან გამომდინარე, რაც მოიჯარის მიერ სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული, მოიჯარეს ასევე აქვს უფლება აწარმოოს არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია და/ან ახალი ობიექტების მშენებლობა, აგრეთვე მიწის სამუშაოები, იმ პირობით, რომ არ დაირღვევას საინჟინრო და სხვა კონსტრუქციების, საფარდენი კედლების, იატაკის, ჭერის გადახურვის, ასევე შთაღიანად აღჭურვილობისა და ხანძარსაწინააღმდეგო, სიგნალიზაციის სისტემების (ასეთის არსებობის

სამართალი
სამართალი
სამართალი



შემთხვევაში მთლიანობა. აღნიშნული სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს მყოფარის წერილობითი თანხმობისა და მხოლოდ სათანადო ნებართვებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე;

6.2. მოიჯარე ვალდებულია ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს მისთვის გადაცემული როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. ჩაატაროს გადაუდებელი და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ჯონიფრულ ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა მისთვის გადაცემული ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისი ხელყოფა. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხელყოფა გამოწვეულია იხეთი გარემოებებით, რომელთა თავიდან აცილებაც მოიჯარეს არ შეეძლო;

6.3. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები და სანიტარული ნორმები;

6.4. მოიჯარე ვალდებულია გამოასწოროს მისი მიწებით გამოწვეული დაზიანებები, ხოლო მის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ისინი და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვოს მოიჯარეს. დაზიანებების ან სხვა სახის ნაკლოვანებების გამოვლენის მომენტი მესაკუთრეს უფლება აქვს 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ, მოიჯარის წარმომადგენლის თანდასწრებით შევიდეს საიჯარო ტერიტორიაზე და/ან ამავე ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ შენობაში, დაზიანების და/ან სხვა სახის ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში მხარეთა შორის უნდა შედგეს შესაბამისი აქტი. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე უარს აცხადებს აქტის ხელმოწერაზე ვალდებულია ამავე აქტზე გააკეთოს მინაწერი შენიშვნის ხასით და მოუთხოვოს იმ მიზეზებზე, რის გამოც უარს აცხადებს აქტის ხელმოწერაზე;

6.5. მესამე პირების მიწებით საიჯარო ქონების წებისმიერი დაზიანების, დანაკარგის ან განადგურების (საწაღობრავი ან მთლიანი) შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს აუცილებელი კანონიერი ღონისძიებები მესამე პირების მიერ ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

6.6. მოიჯარე მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად გარემოს დაბინძურების შემთხვევაში, ვალდებულია საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს გარემოს რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოები;

6.7. სარეაბილიტაციო სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრა მოხდება საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;

6.8. მოიჯარე ვალდებულია იქონიოს და სულ ცოტა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით შეინახოს მის მიერ საიჯარო ქონების წებისმიერ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია;

6.9. მესაკუთრეს არ აქვს უფლება მოიჯარეს გაუცხადოს დაუსაბუთებელი და/ან უსაფუძვლო უარი იმ საკითხის შეთანხმებაზე, რომლის შესახებაც აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა და რომლის განხორციელებითაც მოიჯარე მართლზომიერად არის დაინტერესებული;

6.10. მესაკუთრე ვალდებულია აღიაროს მოიჯარეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაეკონომიკური მესაკუთრის შედეგად მიყენებული

ნ.ს.ს.
ნ.ს.ს.
ნ.ს.ს.



ზიანი, რომლებსაც ამ ხელშეკრულების ფარგლებში უარყოფითი გავლენა იქონიეს მოიჯარის საქმიანობაზე;

6.11. ნებისმიერი ზიანი, ასევე მისი ოდენობა რომლის ასანზღაურებაზეც მხარე(ებ)ს გააჩნიათ პრეტენზია დადგენილ უნდა იქნეს მხარეთა მიერ შეთანხმებული ექსპერტ(ებ)ის დასკვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო კვალიფიკაციის (გამოცდილების) მქონე საექსპერტო კომპანიას (დაწესებულებას) და/ან ექსპერტს. ამ წესით მხარეთა მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში მხარეები თანახმა არიან, რომ მათ მიერ შერჩეული ექსპერტის მიერ მიღებული დასკვნა წარმოადგენს მხარეთათვის სავალდებულო დოკუმენტს.

6.12. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ექსპერტის და/ან საექსპერტო კომპანიის (დაწესებულების) კანდიდატურაზე, თითოეული მხარე უფლებამოსილია ექსპერტი და/ან საექსპერტო კომპანია შეარჩიოს დამოუკიდებლად ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან. დავის გადაწყვეტისათვის მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს განუცხადონ წესების დაცვით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებში ან მის გარეშე;

7. დაზღვევა

7.1. მოიჯარეს უფლება აქვს მის მიერ იჯარით მიღებული შენობა-ნაგებობების და მოძრავი ქონების დაზღვევა განახორციელოს იმდენჯერად, რომ სადაზღვევო პოლისში ბენეფიციარად მითითებულ იქნეს მესაკუთრე;

7.2. შენობა-ნაგებობისა და მოძრავი ქონების დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისის სერტიფიკატის ასლი მოიჯარემ უნდა წარუდგინოს მესაკუთრეს ასეთი დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

7.3. მხარეები თანახმა არიან, რომ დაზღვევის განხორციელების შემთხვევაში ნებისმიერი სადაზღვევო თანხა რომელიც აღნაზღაურდება ამ ხელშეკრულების რომელიმე მხარეს საიჯარო ქონების დაზიანების შედეგად მოხმარდება დაზიანებული ქონების რეაბილიტაციას. აღნიშნული წესით მიღებული სადაზღვევო თანხების გასაღვას მხარეები მოახდენენ ერთობლივად.

8. იჯარის ობიექტების დაბრუნება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებისას, აგრეთვე ოფციონის ვადის ამოწურვისას, თუ მხარეები არ მოაღწევენ შეთანხმებას ახალი ვადით მისი გაგრძელების შესახებ, ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია 20 სამუშაო დღის ვადაში ჩააბაროს მესაკუთრეს საიჯარო ქონება პირვანდელ მდგომარეობაში. ჩვეულებრივი ცვეთის გათვალისწინებით;

8.2. იჯარის ობიექტების დაბრუნება და მათი მდგომარეობა ფორმდება იმავე წესით, რაზედ მისი მოიჯარისათვის გადაცემა.



9. ვალდებულების დარღვევა. პირგასამტეხლო

9.1. საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოიჯარეს მესაკუთრის სასარგებლოდ გადასახდელად უკისრება პირგასამტეხლო ყოველწლიურადგადაცილებულ დღეზე 0.05%-ის ოდენობით აღნიშნული თანხა გამოითვლება საიჯარო გადასახადის გადაუხდელობიდან. მოიჯარეზე დარიცხული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოიჯარის მიერ მესაკუთრისათვის ხაზგარიშით თვის წინა სამი თვის განმავლობაში გადახდილი საიჯარო გადასახადის 20%-ს;

9.2. მხარეთა შეთანხმებით საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად მიიჩნევა საიჯარო გადასახადის, როგორც დაგვიანებით, ასევე არასრულად გადახდა;

9.3. მესაკუთრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მესაკუთრეს მოიჯარის სასარგებლოდ უკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0.05%-ის ოდენობით ყოველწლიურადგადაცილებულ დღეზე მესაკუთრის მიერ ვალდებულების შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 დღისა. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოითვლება საანგარიშო თვის წინა თვეში მოიჯარის მიერ მესაკუთრისათვის გადახდილი საიჯარო გადასახადის სრული ოდენობიდან;

9.4. მოიჯარეს უფლება აქვს მესაკუთრეზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა გამოცემის საიჯარო გადასახადიდან, რისთვისაც მესაკუთრის ზეპირი ან წერილობითი თანხმობა არ არის სავალდებულო;

9.5. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ყოველგვარი გაუფრთხილებლობისა და ვალდებულების დარღვევისათვის. რომელმაც გამოიწვია მეორე მხარისათვის ზიანის მიყენება და წარმოადგენს დამრღვევი მხარის მოქმედების უშუალო შედეგს;

9.6. მხარე რომლისთვისაც ცნობილი გახდა იმ გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებსაც შესაძლოა დააზოგოს ან შეუძლებელი გახადოს მის მიერ ნავსარი ვალდებულებების ან ვალდებულებების ნაწილის შესრულება ვალდებული ასეთი გარემოების არსებობის შეტყობიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს მეორე მხარეს;

9.7. იმ შემთხვევაში, თუ მხარის ან მხარეების მიერ დარღვეული ვალდებულება თავისი შინაარსით შედეგობრივად ვერ მოახდენს გავლენას დარღვეული ვალდებულებების ან დარღვევა უმნიშვნელოა, მხარეებმა შეიძლება არ გამოიყენონ ამ მუხლით გათვალისწინებული ფინანსური საქსეციების დაკისრების უფლებამოსილება;

9.8. თუ ნებისმიერი დარღვევა ან შესრულებლობა ექვემდებარება გამოსწორებას იმგვარად, რომ იგი არ გამოიწვევს ამ ხელშეკრულების ფინანსური ხაზით გათვალისწინებული სარგებლის გაზრდას, ან დარღვევა ვერ მოახდენს გავლენას ამავე ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს განუსაზღვროს გონიერული ვადა დარღვევისა და მისგან გამომწვეული უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად;

9.9. თუკი მხარე, რომლის სასარგებლოდაც იქნა ეს ვადა განსაზღვრული ზრდილულად არ აღმოავლობს დარღვევებსა და მისგან გამომწვეულ შედეგებს, ვალდებულია სრულად აანაზღაუროს



შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი;

9.10. მხარეს უფლება აქვს უარი იქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება შესრულებინა წინასწარ.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მესაკუთრეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მოიგარე აგვიანებს იჯარის გადასახადის გადასდას ზედიზედ 50 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კანში 120 დღეზე მეტი ვადით ასევე იმ შემთხვევაში, თუ მოიგარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ძირითად ვალდებულებებს. მხარეთა შეთანხმებით მოიგარის ძირითად ვალდებულებებზედ ბიძგნევა ამ ხელშეკრულების ის დებულებები, რომელთა ჯეროვანი შესრულების მიმართაც მესაკუთრის ინტერესი არსებითი ხასიათის არის. ასეთ შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია მოიგარეს გაუგზავნოს საპრეტენზიო წერილი და ვალდებულების შესასრულებლად განუხადდეს არასაკლებ 30 დღე. ასეთი წერილის მიღებიდან მასში მითითებული ვადის განმავლობაში მოიგარის მიერ არსებულ დარღვევათა გამოუსწორებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

10.2. მოიგარეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საპრეტენზიო წერილში მითითებულ გარემოებებს, თუკი ისინი აშკარად და ობიექტურად არ წარმოადგენენ პრეტენზიის გამოთქმის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში მოიგარე ვალდებულია საპრეტენზიო წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 03 დღისა შესაბამისი დასაბუთების მოთითებით წერილობით აცნობოს მესაკუთრეს;

10.3. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ამ ხელშეკრულების 10.2 მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს, საპრეტენზიო წერილში დარღვევათა გამოსასწორებლად მითითებული ვადის ათელა დაიწყება მესაკუთრის მიერ იმავე პუნქტით გათვალისწინებული პასუხის მიღების დღიდან;

10.4. მოიგარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მისი შეწყვეტის დღემდე 2 (ორი) თვით ადრე გადაეცემა წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხარეები განახორციელებენ ურთიერთანგარეშწორებას ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის შესრულებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში;

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

10.6. ამ მუხლის 10.1. პუნქტის მიზნებისათვის მასში გათვალისწინებული წესი არ მოქმედებს, თუ საპრეტენზიო წერილში მითითებული დარღვევები არსებობს, თუმცა მასში მითითებულ ვადაში აღნიშნულ დარღვევათა გამოსწორება ობიექტურად არის შეუძლებელი;

10.7. ხელშეკრულება აგრეთვე წყდება შესრულებით. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიღება, თუნდაც იგი განხორციელებული იყოს ვადამდე არ ვადის გასვლის შემდეგ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების და მისგან მომდინარე



მხარეთა შორის არსებული ყველა სახარტალურთიერთობის შეწყვეტას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შემსრულებელ მხარეს გააჩნია საპასუხო და/ან საპირისპირო შესრულების მიღების უფლება.

11. შეტყობინებები

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან თანხმობა, რომელიც აუცილებელია, ან რომლის გაცემა ან ხელშეკრულების შესაბამისად აუცილებელია ან დაშვებულია, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. ნებისმიერი ამგვარი გზავნილი განიხილება წარდგენილად ან გაცემულად მას შემდეგ, რაც ის პირადად ჩაბარდება იმ მხარეს ან მის უფლებამოსილ პირს, რომლისთვისაც ის იყო გათვალისწინებული, ან მას მერე რაც ის კურიერით გაგზავნა აღნიშნულ მხარეს მის მიერ ან ხელშეკრულებაში მითითებულ ან სპეციალურად საპასუხოდ განსაზღვრულ მისამართზე;

11.2. შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად, როგორც პირადი მიწოდების, ასევე კურიერით გაგზავნის შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მიმღები მხარე წერილობით დაადასტურებს მის მიღებას. შეტყობინება აგრეთვე მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში 3 სამუშაო დღის შემდეგ, როდესაც კურიერმა ფაქტურად ჩააბარა ადრესატს შეტყობინება, თუმცა ჩაბარების ფაქტი არ არის ცნობილი გამგზავნისათვის. შეტყობინება მიღებულად (ჩაბარებულად) ჩაითვლება, თუ იგი გაგზავნილია საყოველთაოდ მიღებული ტექნიკური საშუალებების (ელ.ფოსტა, ფაქსი) გამოყენებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას. შეტყობინება გაგზავნილად და ჩაბარებულად არ ჩაითვლება, თუ იგი განხორციელებულია შობილური კავშირგაბმულობის მტრეობით SMS ფორმატით;

11.3. მხარეს შეუძლია შეიცვალოს მისამართი, რომელზეც წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით იგზავნება მის სახელზე არსებული შეტყობინება. ყველა შემთხვევაში მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისამართის შეცვლის შესახებ მისამართის შეცვლიდან არაუგვიანეს 05 დღის განმავლობაში.

12. უფლება-მოვალეობათა გადაცემა

12.1. მოიჯარეს არ აქვს კონტრაქტის ან მისი რომელიმე ნაწილის მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირისათვის გადაცემის ან გადაკისრების უფლება;

12.2. მესაკუთრის თანხმობა უნდა იყოს:

- წერილობითი;
- დათარიღებული და ხელმოწერილი მესაკუთრის ხელმოწვევით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირის მიერ;
- შეიცავდეს გადაცემის ან გადაკისრების კონკრეტულ დეტალებს;
- საჭიროების შემთხვევაში დამტკიცებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ამგვარ ქმედებაზე უფლებამოსილი ორგანოს ან ორგანოების მიერ;



12.3. მოიჯარეს უფლება აქვს ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე მისი საწარმოო პროექტის ერთი ან რამდენიმე ელემენტის (კონკრეტული ხაშუშაო) შესრულება განახორციელოს შესაძლებლობის მიხედვით, რაც არ ჩაითვლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოიჯარის უფლება-მოვალეობათა გადაცემად ან გადაკისრებად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებისათვის "ფორს-მაჟორი" ნაშნავს შემთხვევას, რომელიც:

ა) არ ექვემდებარება მხარეთა კეთილგონიერულ კონტროლს;

ბ) მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის;

13.2. ფორს-მაჟორი მოიცავს შემდეგს:

ა) დიფილტი, საომარი მოქმედებები, მასობრივი სამოქალაქო არეულობები, რომლის შედეგადაც გაზოგადებულია საგანგებო მდგომარეობა, აუჯანყება;

ბ) ქარიშხალი, წყალდიდობა, მიწისძვრა ან ამინდის სხვა ძლიერი არაბუნებრივი პირობები;

გ) გაფიცვა, ლოკაუტი და სხვა ანალოგიური ქმედებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი გაფიცვის, ლოკაუტის და სხვა ანალოგიური ქმედებების თავიდან აცილება შესაძლებელია მესაკუთრის ან მოიჯარის შესაძლებლობებით;

დ) ელენერგიის, ბუნებრივი აირის და/ან წყლის ხანგრძლივი მოუწოდებლობა გამოწვეული ავარიით, რომელიც აღემატება მხარეების შესაძლებლობებს ან ქვეყანაში მათ დეფიციტს;

ე) ბუნებრივი პირობები, რომლის დროსაც არსებული ნორმატივების მოთხოვნებით არ შეიძლება მოიჯარემ განახორციელოს ძირითადი საქმიანობა, თუ ამგვარი პირობების ჯამური დრო აღემატება თვეში 360 საათს;

ვ) ისეთი სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ვალდებულებების შესრულებას.

13.3. ფორს-მაჟორი არ მოიცავს

ა) რაიმე შემთხვევას, რომელიც გამოწვეული იყო მესაკუთრის ან მოიჯარის, ან მათი ქვემოიჯარეების, აგენტების თუ თანამშრომლების დაუდევრობით ან განზრახ ქმედებით;

ბ) რაიმე შემთხვევას, რომელიც კეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში მხარეებს ან მხარეს შერეული გათვალისწინებინა და ამგვარიდან თავიდან აცილებინა;

13.4. მესაკუთრის ან მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად, თუ აღნიშნული შეუძლებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით და იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევის დროს მხარეებმა, გამომდინარე იქიდან, თუ რომელი მხარე დაზარალდა, მიმართა ყველა ზომას და გამოიყენა ყველა ალტერნატიული გზა, რათა შეესრულებინა კონტრაქტის პირობები;

13.5. ფორს-მაჟორული გარემოების დროს მხარეებმა, გამომდინარე იქიდან, თუ რომელი მხარე დაზარალდა, დაუყოვნებლივ უნდა ააცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოების შესახებ, ამ გარემოების

მხს
რმ
ბა
ა
ა



დადგომიდან არაუგვიანეს 10 დღისა შტუბინება უნდა მოიცადდეს ფორს მაჟორული გარემოების აღწერას და მესაძლეულობის შემთხვევაში მისი გამოწვევი ბიზნის მითითებას.

13.6. იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც მოიგარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა საქმიანობა ფორს მაჟორული გარემოების გამო ის თავისუფლდება საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან ამ გარემოების აღმოფხვრის ვადით;

13.7. არაუგვიანეს 30 დღისა მ.ს. შემდეგ, რაც მოიგარისათვის შეუძლებელი გახდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება ფორს-მაჟორული გარემოები გამო. მხარეები მოლაპარაკების შედეგად უნდა შეთანხმდნენ აღნიშნულ გარემოებების აღმოსაფხვრელად (თუ ეს მათ ბაღებში შედის) შესაბამისი ზომების მოღებაზე.

13.8. ფორს-მაჟორული გარემოების დაწყებას, ხანგრძლივობას და დამთავრებას ადასტურებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

14. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

14.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დასადეგად მათ გააჩნიათ ყველაწარი ნებართვა, მატერიალური და კორპორაციული შესაძლებლობები და იურიდიული უფლებამოსილება;

14.2. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილი არ არის რაიმე ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი;

14.3. მხარეები აცხადებენ, რომ იმოქმედებენ კეთილსინდისიერად და დაიცავენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ერთმანეთის უფლებებს;

14.4. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეუძლებელია ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას ყველა ის გარკვევა, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას მისი მოქმედების პერიოდში და ამიტომ მათი განზრახვაა ხელშეკრულების საფუძველზე იმოქმედონ ძალისხმევად, ერთმანეთისათვის ზანის მიყენების გარეშე და გულისხმობენ მოიცაყონ ერთმანეთის უფლებებს;

14.5. მოიგარე ადასტურებს და კისრულობს ვალდებულებას, რომ ამ ხელშეკრულების ბ.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მის მიერ მოწვეული იქნება მხოლოდ სათანადო გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე კომპანიები და სპეციალისტები, მათ შორის სამუშაოს უშუალოდ შემსრულებელი პირები, რომელთა უნარჩვევები და სხვა მახასიათებლები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს იდენტურ ან მსგავს სამუშაოზე დასაქმებული პირებისათვის გათვალისწინებულ საერთაშორისო სტანდარტებს;

14.6. მოიგარე ადასტურებს, რომ მისი საქმიანობის განხორციელების პროცესში მის მიერ ჩრებით კონტრაქტის საფუძველზე დასაქმებულები იქნებიან სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა უნარჩვევები და სხვა მახასიათებლები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს იდენტურ ან მსგავს სამუშაოზე დასაქმებული პირებისათვის გათვალისწინებულ საერთაშორისო სტანდარტებს;



14.7. ამ მუხლის 14.5 და 14.6. პუნქტებში აღნიშნული პირობის მიერ მოიჯარის მიმართ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ან მათ მიერ საიჯარო ჭიშკრასთან მიმართებაში განსაზღვრული საქონლობისა, რაიმე ზიანის გამოწვევის შემთხვევა არ წარმოადგენს და შესაკუთრის მიერ არ შეიძლება გამოცნობულ იქნეს წინააღმდეგარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად;

14.8. შესაკუთრე ადასტურებს, რომ მას სრულად აქვს გაეცნობიერებული მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების რეგულაციები, რაც წარმოადგენს მოიჯარის მიერ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების წინაპირობას;

14.9. შესაკუთრე ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ჭიშკრა წარმოადგენს მის საკუთრებას. იგი არ არის დაფადაებული, არ არის დავის ქვეშ, არ არის დატვირთული რაიმე სახის სანიტუარ უწყობით და მასზე სხვა მესამე პირს არ გააჩნია რაიმე სახის უფლებები და/ან მოთხოვნები.

15. დავების გადაწყვეტა

15.1. ამ ხელშეკრულების 14.3-14.4. მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, მხარეები მიმართავენ ყველს ზომას და არ დაიშურებენ ძალისხმევას, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა ან უთანხმოება გადაწყდეს ურთიერთმოთხოვნით მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებით;

15.2. მოლაპარაკების პროცესის წარმოების მაქსიმალური ვადა დავის ან უთანხმოების წარმოშობის დღიდან 60 დღე. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ მხარის, ან მხარეების უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადასთან, რომლის გაშვების შემთხვევაშიც უფლების რეალიზაცია გახდება ხანდაზმული ან მისი რეალიზაცია შეუძლებელი გახდება ან გართულებული სხვა ობიექტური მიზეზით;

15.3. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეს ან მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს განხილადობის წესების დაცვით;

15.4. დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის შემთხვევაში მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიღწეული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ მალაშია შესული, ვალდებულია აენაზღაუროს მეორე მხარეს მის მიერ დავის საწარმოებლად გაღებული ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის სახელმწიფო ბაგი, ადვოკატის დახმარებისათვის გაღებული აფანსი და/ან პონორარი, ექსპერტიზის და/ან სხვა დასაცემის მისაღებად გაღებული ხარჯები და სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც უშუალო კავშირშია მხარის მიერ წარმოებულ დავასთან;

15.5. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება ან დავა შესაძლებელია გადაწყდეს ურთიერთმოთხოვნათა გაცემის გზით, თუ ასეთი მოთხოვნების არსებობას აღიარებენ მხარეები ან ობიექტურად არსებობს სათანადო საფუძვლები.



16. კონფიდენციალურობა

16.1. მხარეებს ეკისრებათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, რომლის დაცვითაც მხარეები მართლზომიერად არიან დაინტერესებულნი;

16.2. მხარე, რომელმაც წინასწარი შეთანხმების გარეშე გააშუქა ასეთი ინფორმაცია, ვალდებულია დაზარალებულ მხარეს აღწახლავროს ამ ქმედებით გამოწვეული ზიანი;

16.3. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალას ინარჩუნებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულების შესრულების ადგილია - ვაღე, ახალციხის რ-ნი, საქართველო;

17.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. ხელმოწერის თარიღად მიიჩნევა ამ ხელშეკრულების თავში მოთითებული თარიღი.

17.3. ეს ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 03 საბუშაო დღისა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. მხარეთა შეთანხმებით ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სანიმუშო უფლებები წარმოიშობა და საგაიდებულო ძალას იძენს ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე;

17.4. ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს ხელშეკრულების იმ მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების გაუქმებას, რომლითაც დადგენილია მხარეთა პასუხისმგებლობა;

17.5. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე;

17.6. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი ხელმოწერილი და დასტურებული იქნება საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის მიერ;

18. მხარეთა ხელმოწერები

შპს "უფლები ტერმინალების-სისტემა"-ს

შპს "ვი ჯი ტრანსპორტ ენდ